


მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა
ადგილობრივ თვითმმართველობაში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
(LDA Georgia)

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგობია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა“ იურისტი (IDP Women Association "Consent").

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	4
1.1 კვლევის საფუძველი	4
1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა	4-5
1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება	5
2. შესავალი	6-7
3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....	8
3.1. ეკონომიკური განვითარება.....	8-10
3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	10-11
3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	11-12
3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა	12-14
3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	14-15
4. რეკომენდაციები.....	16
5. საბიუჯეტო პროგრამა.....	17-18
6. დანართი.....	19
სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....	19-20

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალთ დახეული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, მერის 2020 წ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი

- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, მარტოხელა მშობელი, დევნილი);
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები;
- ჟურნალისტი.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა (15) რესპოდენტმა, რომელთა შორის რვა (8) მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 26 წლიდან 77 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და გენდერული ბალანსის დაცვას.

1.3 ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეკუთხუთხებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები სამტრედიის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 -ით გამოწვეული ახალი საჭიროებები;

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება , შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკიოტხები, როგორცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები ,სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid-19 -სგან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური განვითარება და კეთილსამედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული , გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

ეკონომიკური განვითარების მეტად ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას ერთობლივი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, შეიმუშაონ და წარადგინონ რეკომენდაციები იმ ეკონომიკური განვითარების პროგრამების განსაახლებლად , რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, რაც აღნიშნულ პროგრამებს კონკრეტულ რეგიონზე , მუნიციპალიტეტზე უფრო მეტად მორგებულს გახდის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მრავლად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე ეკომიგრანტები, რომლებიც ადგილობრივად არიან ინტეგრირებულნი, თუმცა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყოს მათ ჩართულობის გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც შეუმცირდათ შემოსავალი , მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა

მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. ¹ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება. მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: სამტრედიის მუნიციპალიტეტი იმ მუნიციპალიტეტების რიგშია, რომლებიც შეუერთდნენ ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური განვითარებისათვის“. ინიციატივის საფუძველზე შემუშავებულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დოკუმენტი, რითაც მუნიციპალიტეტმა პასუხისმგებლობა აიღო დოკუმენტით გათვალისწინებული ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების და მიმართულებების განხორციელებაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ძირითადი ეკონომიკური მიმართულებებია ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და სატრანსპორტო მიმართულება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს აეროპორტი, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებლად იქცა რეგიონში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობა : სამტრედიაში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებას განვითარებული, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ადგილზე განვითარებულია სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორცაა მესაქონლეობა, მეთხილეობა, მეფუტკრეობა. მოსახლეობას დიდი რაოდენობით მოჰყავს სიმინდი. განვითარებულია სასათბურე მეურნეობები, სადაც მწვანეხა და ყვავილების მოყვანა ხდება. ბოლო პერიოდში დანერგე მომავლის ფარგლებში გაშენდა ჟოლოსა და მოცვის პლანტაციები.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობა სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც დროულ რეაგირებას და გადაჭრას მოითხოვს.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არსებული ნიადაგი გამოფიტულია, რის გამოც ნაყოფიერება დაბალია. მოსახლეობა ძირითადად ძველ თესლებს იყენებს. ახალ, გაუმჯობესებულ თესლებთან, მარცვლეულის ახალ ჯიშებთან, ისევე როგორც საჭირო პესტიციდებთან/სასუქებთან კი ხელი არ მიუწვდება სიძვირის გამო. მცირე ფერმერებში დაბალია სოფლის განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერება. დისკუსიებისას აღინიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტი მაღალი ტენიანობით გამოირჩევა, რის გამოც მნიშვნელოვანია მარცვლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დაცვა, რისთვისაც ადგილზე უნდა იყოს შექმნილი დიდი მოცულობის (ტევადობის) სიმინდის საშრობი მეურნეობები . სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ გარემოებად დასახელდა

კვალიფიციური აგრონომების კადრის სიმწირე, რომლებსაც შეეძლოთ კვალიფიციური კონსულტაციების გაწევა მცირე ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობის დარგში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი უხვმიწიანია. მუნიციპალიტეტს გააჩნია მიწები (საძოვრები, სახნავად გამოყენებადი სავარგულები), რომლის გაცემაც შეუძლია იჯარით მსურველებზე, თუმცა სოფლის მეურნეობის კუთხით არსებული გამოწვევების გამო მიწის დამუშავებით მოსახლეობა ნაკლებად ინტერესდება. მუნიციპალიტეტში ნაკლებია ხელმისაწვდომობა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტექნიკასთან, ადგილზე არსებული ტექნიკა მოძველებულია, ასევე არასაკმარისი რაოდენობითაა წარმოდგენილი მიწის დასამუშავებლად და მოსავლის ასაღებად საჭირო ყველა ინვენტარი (კომბაინი და სხვა).

მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინ მისდევს მესაქონლეობას ადგილობრივი დაბალპროდუქტიული ჯიშის საქონელი ჰყავს, რომელთა მოვლა ძვირი უჯდებათ. ადგილზე აუცილებელია კვალიფიციური ვეტერინარის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მართალია ხორციელდება სახელმწიფო ვაქცინაციის პროცესი, თუმცა დამატებითი ვეტერინარული კონსულტაციები ან მომსახურეობის მიღების შესაძლებლობა არ არის.

რესპოდენტების მხრიდან გამოითქვა გულისწახილი, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან სოფლის განვითარების საკითხით. ამიტომაც საჭიროებად დაასახელეს ახალგაზრდების ჩართულობის წახალისების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სფეროების განვითარებაში.

მუნიციპალიტეტში, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ხორციელდება ისეთი ეკონომიკური განვითარების პროგრამები, როგორცაა „დანერგე მომავალი“ და „აწარმოე საქართველოში“.

მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა, თუმცა პროგრამები მეტ პოპულარიზაციას და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებას საჭიროებს. გამოწვევად დასახელდა ის გარემოებაც, რომ მოქალაქეებმა ხშირად არ იციან როგორ დაწერონ ბიზნეს განაცხადი, როგორ შეავსონ განაცხადების ელექტრონული ვერსიები, რადგან არ აქვთ კომპიუტერთან წვდომა და არ ფლობენ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს.

მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ პანდემიის შედეგად არაერთმა მოქალაქემ დაკარგა სამუშაო და დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, თუმცა ამ ადამიანების ადგილზე დასამაგრებლად მათზე მორგებული ეკონომიკური განვითარების პროგრამები ჯერჯერობით არ არის შემუშავებული, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა: სამტრედიას საკმაოდ საინტერესო ადგილმდებარეობა აქვს ბიზნესის განვითარების კუთხით. ის არის შუაგული დასავლეთისა და აღმოსავლეთის, აქვე გადის რკინიგზა, ამიტომ ადგილზე თავს იყრის სხვადასხვა გადასაზიდი ტვირთი, რომელიც შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით ნაწილდება. მიუხედავად ამისა, ადგილზე არ არის ბიზნეს ჰაბი, ან სხვა ადგილი სადაც ბიზნეს კომპანიები ერთმანეთთან დაკავშირებას და კომუნიკაციას შეძლებენ.

სამტრედიაში წარმოდგენილი არიან მცირე მეწარმეებიც, თუმცა მათი ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. *„არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ხორციელდება გარკვეული ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა მათ იურიდიული პირის სტატუსი არ აქვთ, რადგან ასე ცდილობენ გადასახადების გადახდას აარიდონ თავი“*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

კოოპერატივები ნაკლებადაა წარმოდგენილი, მოსახლეობის ცნობიერება კოოპერატივებთან და კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობ პროგრამებთან რესპოდენტების აზრით საკმაოდ დაბალია.

ადგილზე არსებობს თვრამეტი (18) თევზსაშენი მეურნეობა, მათგან ჩვიდმეტი (17) ფუნქციონირებს. ადგილზე წარმოებული თევზი სარეალიზაციოდ გადის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.²

ქ. სამტრედიაში წარმოდგენილია სასურსათო მაღაზიები, მცირე რაოდენობით კაფეები, სილამაზის სალონები, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი სამეწარმეო ობიექტები ძირითადად ქალაქშია.

² სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020-20203 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 8.

სამტრედიამი რძისა და რძის პროდუქტების წარმოება , მწვანის მოყვანა ხდება, რომლის რეალიზაციასაც არა მარტო ადგილობრივად ხდება. რძის პროდუქტების დიდი რაოდენობა გადის ბათუმში. სამტრედიამი არის ყოფილი ბალნეოლოგიური სანატორიუმი, სადაც დღეს დევნილები არიან ჩასახლებული. აღნიშნული ადგილის უნიკალურობას ადგილზე არსებული მინერალური წყალი წარმოადგენს, რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც სამტრედიის #1 ჭაბურღილი. დისკუსიებისას აღინიშნა, რომ აღნიშნული ტერიტორია და მინერალური წყალი 25 წლიანი იჯარით გადაცემული აქვს ქართულ-ჰოლანდიურ კომპანიას, რომელსაც სასათბურე მეურნეობაში მოჰყავს მწვანე სალათის ფოთლების ნაირსახეობები, (მინერალური წყლის უნიკალური სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები დადგენილია ჯანდაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის N310/ნ ბრძანებით). სათბურისთვის მეწარმე აქტიურად იყენებს მინერალურ წყალს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს იწვევს უკვე არაერთი წელია. მოსახლეობას სურს მინერალური წყლის რესურსი დაუბრუნდეს ქალაქს და მოხდეს მისი მიზნობრივი გამოყენება, რაც ტურისტების მოზიდვასაც შეუწყობდა ხელს.

ტურიზმი და რეკრეაცია: ტურიზმი სამტრედიამი ნაკლებადაა განვითარებული, თუმცა სწორი ხედვის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ამ სფეროს განვითარება, რადგან ადგილზე არაერთი ღირსშესანიშნავი ადგილი არსებობს. სამტრედიამი არის აეროპორტი, თუმცა მისგან მიღებული სარგებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტზე ნაწილობრივ ვრცელდება. ტურისტები თითქმის არ ჩერდებიან სამტრედიამი, ამიტომ ნაკლებადაა წარმოდგენილი სასტუმროები. არსებობს ქალაქში რამდენიმე მცირე ზომის სასტუმრო, რომლებიც უფრო დაბალი ხარისხის სერვისზეა გათვლილი. მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილია ტურისტული საინფორმაციო ბაზა, წარმოდგენილია სწრაფი კვების ობიექტები, აგრარული ბაზარი, რესტორნები. ტურისტული ობიექტები არ არის კეთილმოწყობილი, არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობ გამაჯანსაღებელი ადგილები, არსებულიც საჭიროებს კეთილმოწყობას. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები(სველი წერტილები).

ქ. სამტრედიამი მოსახლეობა ცდილობს დაიბრუნოს და ტურისტული დანიშნულება დაუბრუნოს ქალაქ სამტრედიამი არსებულ მინერალურ წყალს, რომელიც ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით „*დღეს „არასამართლიანად“ აქვს გადაცემული „არამიზნობრივი“ გამოყენებისათვის კერძო ბიზნესმენს , რომელსაც არანაირი სარგებელი არ მოაქვს სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის*“, მიუხედავად არაერთი მცდელობისა , მოქალაქეებმა ვერ შეძლეს აღნიშნული საკითხის გადაჭრა. „*კარგი იქნება ვინმე თუ დაგვეხმარება, აღნიშნულ ტერიტორიას დაუბრუნდეს თავისი დანიშნულება და სტატუსი, მინერალური წყლის გამოყენება კი სამკურნალო მიზნით მოხდეს. ჩვენი ძალებით ჯერჯერობით ამას ვერ მივაღწიეთ*“, აღნიშნეს ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა.

რეკრეაციული ზონებისა და პარკების შექმნა ძირითადად ქალაქში ხდება. რესპოდენტების თქმით მნიშვნელოვანია, მსგავსი მოსასვენებელი ადგილები სოფლებშიც კეთდებოდეს, სადაც მოსახლეობა თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებს.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით სამტრედიამი სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია პანდემიამ. შემცირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ არაერთი მოქალაქე დატოვა შემოსავლის გარეშე. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე. საკვებზე ფასების მატებამ ხელი შეუწყო მოწყვლადი მოქალაქეების საკვები რაციონის გადარიბებას. ვინაიდან გაზრდილი ფასების ფონზე უფრო მცირე რაოდენობისა და სახეობის საკვები პროდუქტების შექმნა იყო

შესაძლებელი სახელმწიფო დახმარებიდან მიღებული თანხით. პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი საკვები კალათებით ეხმარებოდა მოწყვლად ოჯახებს, თუმცა დღესაც დგას მსგავსი დახმარების გაწევის აუცილებლობა, რადგან ამ ოჯახების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა.

მუნიციპალიტეტს დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შობადობის წასახალისებლად დადგენილი აქვს ახალშობილისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება, თუმცა რამდენად უწყობს აღნიშნული ხელს შობადობის ზრდას უცნობია.

რესპოდენტების თქმით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილი შუა ხნის ასაკს გადაცილებულია. სამტრედიაში ცხოვრობენ დევნილები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო შენობებში იყვნენ შესახლებული, ამჟამად მათი ბინებით დაკმაყოფილების პროცესი მიმდინარეობს, თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებმა აღნიშნეს უმჯობესი იქნებოდა, თუ დევნილთა განსახლებისას, სახელმწიფო პრიორიტეტს მიანიჭებდა სოფლად სახლების შექმნას და მათთვის ადგილზე საარსებო წყაროს შექმნას, რითაც ასევე მოხდება სოფლების მოსახლეობისაგან დაცლის პრევენცია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ იანეთში განსახლებულნი არიან ასევე ეკომიგრანტები.

შრომის ბაზარი , უმუშევრობა და მიგრაცია: მუნიციპალიტეტისთვის კარგა ხანია გამოწვევას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონე, ³ რომელიც პანდემიის შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა. ადგილზე დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა, დაბალი ანაზღაურება მოქალაქეებს იძულებულს ხდის სამუშაო საზღვარგარეთ ეძებონ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიგრაციას.

როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტს უფრო მეტად ტოვებენ ახალგაზრდები, რომლებიც სხვა დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, უკან სამტრედიაში კი ნაკლებად ბრუნდებიან.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია, რომელსაც საკუთარი სახსრებითა და სხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ფონდების დახმარებით ახორციელებს. მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა ნაკლებადაა ადაპტირებული და მორგებული შშმ პირების საჭიროებებს. ძირითადად საგანმანათლებლო, ზოგიერთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებს გააჩნიათ პანდუსები. არის შემთხვევები, როცა ობიექტს პანდუსი გააჩნია, თუმცა ის არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. არსებული ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული უსინათლოთა ან სხვა საჭიროებების მქონე ადამიანებს.

მუნიციპალიტეტში მუდმივად ხდება ახალი გზების დაგება და არსებულის რეაბილიტაცია. მიუხედავად ამისა, დარჩენილია სოფლები სადაც გზა ჯერ არ არის რეაბილიტირებული. ხდება სოფლის გზების მოხრეშვა. გაზი და ელექტროენერგია ყველა სოფელში არის. ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს გარეგანათების მოწესრიგება. კანალიზაციის სისტემა რეაბილიტაციას საჭიროებს, რისთვისაც ამ ეტაპზე წინასაპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სასმელი წყალის სისტემა ქალაქში არის. არსებობს სასმელი წყლის პრობლემა გარკვეულ უბნებში (ამირან კალაძის ჩიხი II , წერეთლის ქუჩა). სოფლებში კი მოსახლეობა ძირითადად ჭებს იყენებს, რომლებიც ზაფხულობით შრება. არ არის მოწესრიგებული საირიგაციო სისტემა.

³ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020-2023 საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 5-6

ნაგვის ურნები ქალაქშიც და სოფელშიც ხელმისაწვდომია, თუმცა ზოგჯერ სოფლებში მოსახლეობა ითხოვს ურნების დამატებას, რადგან მიაჩნია რომ ისინი შორიშორსაა განლაგებული. დასუფთავების გადასახადი სოფლებში ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დასუფთავების საკითხთან დაკავშირებით, ეკოლოგიურ საკითხებზე, რადგან ხშირად ხდება ხევების დაბინძურება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრა ისეთ ადგილებზე, სადაც საქონლის სამოვრებაა.

იმ სოფლებში, რომელიც ადმინისტრაციული ცენტრისგან მოშორებით მდებარეობს, მწირია ხელმისაწვდომობა ავთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე. მათი აუცილებლობა პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების ფონზე გახდა ხელშესახები, რადგან შეზღუდული გადაადგილების პირობებში მოსახლეობას უჭირდა საჭირო სურსათისა თუ მედიკამენტების ყიდვა. სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საბანკო მომსახურება ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. რამდენიმე სოფელში არსებობს საზოგადოებრივი ცენტრი.

მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი მუდმივად მზარდია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების ფეხით გადაადგილებას. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, თუმცა ეს უფრო სკოლებს ეხება. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს უფრო მეტად ბაღები საჭიროებენ რემონტს. ბაღებს და სკოლებს სჭირდებათ გარეთა სივრცეების კეთილმოწყობა, ინვენტარის განახლება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: სამტრედიაში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი. მოსახლეობა სარგებლობს კერძო საკუთრებაში არსებული მიკროავტობუსებით, რომლებიც არ არის ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. უფრო მარტივია გადაადგილება იმ სოფლებში მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც ქალაქთან ახლოს ან ცენტრალურ მაგისტრალთან ახლოს ცხოვრობენ. არსებული ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, არც შეღავათების დაწესება ხერხდება სხვადასხვა მოწყვლადი კატეგორიებისთვის. ზოგიერთი სოფლიდან მხოლოდ კვირაში სამი დღე დადის ქალაქ სამტრედიაში ტრანსპორტი, სხვა დღეებში მოთხოვნაც ნაკლებია და ამიტომ ტრანსპორტის მესაკუთრეებს არ უღირთ გადაადგილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედია წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო ჰაბს, სადაც აქტიურად მიმდინარეობს როგორც მგზავრების, ასევე ტვირთების გადაყვანა/გადაზიდვა. სამტრედიაშია დ. აღმაშენებლის სახელობის აეროპორტი, საიდანაც ევროპის არაერთი ქვეყნის მიმართულებით პანდემიამდე აქტიურად ასრულებდა რეგულარულ რეისებს დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: კომუნიკაციებზე წვდომის საკითხის განხილვისას მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ინტერნეტი არ არის სრულად ხელმისაწვდომი ყველასთვის. არის სოფლები, სადაც დაფარვა ვერ ხორციელდება. მიწოდების ხარისხიც არაა დამაკმაყოფილებელია. ადგილზე არსებობს ადგილობრივი ტელევიზია, გაზეთი, ასევე საინფორმაციო ცენტრი, თუმცა, ამის მიუხედავად, ინფორმირებულობა ფოკუს ჯგუფების დისკუსიის შედეგად გამოწვევად დასახელდა.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. ისევე როგორც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესში შშმ

ბავშვთა მონაწილეობა. ადგილზე არიან სპეც მასწავლებლები , თუმცა სასურველი იქნებოდა მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ტრანსპორტით და ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ სახლიდან სკოლამდე იმგზავრონ უსაფრთხოდ.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან. როგორც დისკუსიის მონაწილემ აღნიშნა „საკმაოდ დიდი ნაწილი მოსწავლეების ვერ ახერხებდა ჩართვას ონლაინ სასწავლო პროცესში, თუმცა პედაგოგები ინდივიდუალურად ცდილობდნენ სატელეფონო ზარების დახმარებით ბავშვებთან კომუნიკაციას“. პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მშობელთა ნაკლები ჩართულობა შვილების განათლების პროცესში, რაც დამატებით ბარიერს ქმნიდა ბავშვთა ონლაინ სწავლების პროცესის ეფექტურად უზრუნველსაყოფად.

სამტრედიამი ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი, სადაც სოფლის მეურნეობის კუთხით პროფესიების შესწავლაა შესაძლებელი. თუმცა ასევე გამოიკვეთა, ზრდასრულთა განათლების ცენტრის გახსნის აუცილებლობა, სადაც ყველა მსურველს შეეძლებოდა უფრო მარტივი გზით (ტესტირების გარეშე, სადაც საჭირო არ არის 9 კლასის დამთავრების ატესტატი და სხვა) და მოკლე დროში მისთვის სასურველი და ადგილზე მოთხოვნადი პროფესიის შესწავლა.

გამოიკვეთა ასევე ისეთი სივრცეების არსებობის აუცილებლობა, სადაც არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებოდათ როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებს.

მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკები არსებობს, თუმცა არა ყველა თემში. მათი ინფრასტრუქტურა და წიგნების საცავი მოძველებულია. პანდემიის დროს ბიბლიოთეკებთან წვდომა შეზღუდული იყო, არც ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისი დანერგილა.

ადგილზე არის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, სადაც სხვადასხვა წრეებია ხელმისაწვდომი, არის საჭადრაკო, სპორტული და სამუსიკო სკოლა, მათზე ხელმისაწვდომობა აქვთ სოფლად მცხოვრებ ბავშვებსაც. ადგილზე სოფლებში კი მრავალფეროვანი სპორტულ - კულტურული და საგანმანათლებლო წრეები არ არის წარმოდგენილი (არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საჭირო კადრო და სხვა). განახლებას და რეაბილიტაციას საჭიროებს თავად ქ. სამტრედიამი არსებული სპორტ სკოლების შიდა სივრცეები.

სპორტული მოედნები მხოლოდ რამდენიმე სოფელშია, უმეტეს ადგილას კი მოსაწესრიგებელია. ასევე ნაკლებადაა ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი საბავშვო მოედნები ან მოსასვენებელი სკვერები.

სამტრედიამი არის თეატრი, (ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი), მოწესრიგდა თეატრის გარე ფასადი, აჟამად მიმდინარეობს შიდა ინტერიერის მოწესრიგება. იქ პანდემიამდე მაინც ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. არ არსებობს ადგილზე მერიის პროგრამა, რომელიც ხანდაზმულებისთვის ხელმისაწვდომს გახდიდა თეატრში, მუზეუმში ვიზიტს. მერია მუშაობს , რომ ყველა სასაკობრივი ჯგუფისთვის გახდეს ხელმისაწვდომი თეატრში ვიზიტი. თეატრი ხელმისაწვდომია როგორც ხანდაზმულებისთვის ასევე შშმ პირებისთვის. სპორტულ და კულტურულ აქტივობებში ჩართულნი არიან შშმ ბავშვები.

რესპოდენტების თქმით, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში ნაკლებად არიან ჩართული შშმ ბავშვები.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : სამტრედიის მოსახლეობა ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა, ამიტომ მათი დაინტერესება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების მიმართ დაბალია. რესპოდენტების თქმით, მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესებში, საკრებულოს სხდომებში იშვიათად ხდება.

არ არის გაძლიერებული და წარმოჩენილი მრჩეველთა საბჭოს როლი, ისევე როგორც განვითარებას საჭიროებს პეტიციების მექანიზმი. ყველაზე მეტი აქტიურობა სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიმჩნევა, თუმცა დადგენილი 20 % -ის შეკრება რთულია არსებული მიგრაციის გამო.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდეს ახალგაზრდების, ქალების, დევნილების თუ ეკომიგრანტების ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.5. ძირითადი სერვისები და პროგრამები: სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქალაქეები სარგებლობენ მერიისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამებით, თუმცა როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, სამტრედიაშიც სოციალური პროგრამების უმეტესობა ფულადი გასაცემელის სახითაა მოცემული. მუნიციპალიტეტი სოციალური პროგრამების შემუშავებას შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს. პროგრამების შესახებ ინფორმაცია კი მერიის ვებ გვერდით, სოციალური ქსელით, ასევე მერიის წარმომადგენლების დახმარებით ვრცელდება.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტების შესყიდვისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. სამტრედიაში ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლებში არსებობს ამბულატორიები, თუმცა ექიმი ყოველდღიურად არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი, რაც პანდემიიდან გამომდინარე რესპოდენტების მოსაზრებით აუცილებელია. განახლებას და რეაბილიტაციას საჭიროებს ზოგიერთ თემში არსებული სოფლის ამბულატორია.

სამტრედიაში არ არის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგის სერვისი, ისევე როგორც დგას საჭიროება, ნევროლოგის, ლოგოპედის, ქცევის თერაპევტის, სოფლებში სტომატოლოგიური კაბინეტის.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ვირუსის გავრცელების შემთხვევების მატებისა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაბალია პირბადეების ტარების კულტურა და მოქალაქეები საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას პირბადეების სწორად ტარების შესახებ.

სოციალური საკითხები და სერვისები: მერიაში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. ასევე არსებობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრი, თუმცა ის ყველა საჭირო სერვის ვერ აწვდის ბენეფიციარებს. საჭიროება დგას ოკუპაციური თერაპევტის, ძირითადი სერვისების მისაღებად მშობლებს შვილების წაყვანა უწევთ ქუთაისში. ადგილზე არ არის სარეაბილიტაციო ცენტრი. ნაკლებადაა წარმოდგენილი მუნიციპალურ დონეზე 18 წელს ზემოთ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის და რესოციალიზაციის ხელშეწყობი პროგრამები, დასაქმების ხელშეწყობი ინიციატივების განხორციელება თუნდაც სოციალური საწარმოს შექმნა.

არსებობს სამკერვალო შპს „გვირილა“, სადაც დასაქმებულნი არიან შშმ ქალები, რომელთა ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია მერიის მიერ.

რესპოდენტებმა დისკუსიებისას აღნიშნეს, რომ სამტრედიაში სხვადასხვა სოციალური სერვისის მიწოდებას მოწყვლადი მოქალაქეებისთვის ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში მერიისგანაც დებულობენ თანადაფინანსებას, თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ ვერ ხერხდება სერვისის ადგილობრივად დანერგვა, და მისი მიწოდება ბენეფიციარისთვის წყდება. ხაზი გაესვა, რომ მნიშვნელოვანია ადგილზე მოხერხდეს სერვისების მდგრადობის შენარჩუნება.

მუნიციპალიტეტში მერიის დაფინანსებით არსებობს „სათნობის სახლი“, რომლის ბენეფიციარებიც მარტოხელა მიუსაფარი მოხუცები არიან. სათნობის სახლი ზრუნავს მოხუცთა კეთილდღეობაზე და აწვდის მათ სხვადასხვა სერვისებს, როგორცაა ჰჯერადი კვება, შემოსვა და სხვა.

ადგილზე მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სახლი თანადგომა“, რომელიც კვირაში 6 დღე (კვირის კარდა) ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფს მოწყვლად პირებს. აღნიშნული სერვისი სოფლად მცხოვრები უმწეოთათვის არ არის ხელმისაწვდომი. ასევე არ ხორციელდება შინ მოვლისა თუ სადილის შინ მიწოდების სერვისი.

მერიაში მიმდინარეობს ბავშვთა დაცვისა და გაძლიერების სტრუქტურული დანაყოფის შექმნა, რომლისთვისაც საჭიროა სოც-მუშაკი და ფსიქოლოგი.

დისკუსიის მსვლელობისას აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში დგას სოციალური საცხოვრისის საჭიროება. მერიის სოციალურ სამსახურს 200 მდე უსახლკარო ადამიანის შესახებ აქვს ინფორმაცია. რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს უსახლკაროთა რეგისტრაციის წესი და შექმნილია შესაბამისი კომისიაც, თუმცა ჯერჯერობით თავს იკავებს წესის დაცვით უსახლკაროთა რეგისტრაციის პროცესის დაწყებისგან. *„უსახლკაროთა რეგისტრაციის წესით გათვალისწინებულია ისეთი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება, რაც გარკვეულ თანხის გადახდას უკავშირდება. საბუთის მომზადებაში ფულს თუ გადაიხდის მოქალაქე, მერე მოითხოვს გინდა თუ არა საცხოვრისში შემთხვევით, ამის შესაძლებლობა კი ჩვენ არ გვაქვს, რადგან ფიზიკურად არ გაგვაჩნია ინფრასტრუქტურა, ამიტომ პროგრამა გვაქვს მაგრამ ის არ მუშაობს და აუცილებლად გვჭირდება თავად შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული“*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეებისთვის სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია შეფასების სისტემის დახვეწა. ფოკუს ჯგუფის მსჯელობისას რესპოდენტმა აღნიშნა, რომ *„სოციალური დახმარების პროგრამა დამოკიდებულს ხდის ადამიანს სახელმწიფოზე და აზარმაცებს მას. აუცილებელია არა ფულადი დახმარება, არამედ ასეთი ოჯახების გაძლიერება“*.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება;
- ხელი შეეწყოს ადგილზე სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის პარკის განახლებას.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ხელის შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორცაა ბიზნეს განაცხადის წერა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუტოსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი.

5. საბიუჯეტო პროგრამა სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	კრიზისულ სიტუაციაში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების მიზნობრივი დახმარების პროგრამა	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			20 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	მერიის ზავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ სამტრედიაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოვლინდა, რომ ადგილზე არიან მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველ, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, დაუსაქმებლობა ის გამოწვევებია, რომელთანაც გამკლავება ყოველდღიურად უწევთ ამ ოჯახებს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროგრამების შესწავლისას ასევე ნათელი გახდა, რომ მუნიციპალიტეტს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის არ აქვს შემუშავებული გაძლიერების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ოჯახების წინაშე მდგარი პრობლემების ძირეულ გადაჭრას.			
პროგრამის ბენეფიციარები	სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000) ოჯახები.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	სამტრედიაში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. ოჯახის შეფასება მოხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდება ოჯახის საჭიროების დადგენა. დასკვნა-რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს. მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმის წარმოებას დაიწყებს მუნიციპალიტეტი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება შემდეგი წარმომადგენლობით: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; სოციალურ საკითხთა სამსახური; სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ –			

	სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინიგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; განცხადების შესწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება მოხდება არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება საჭიროებისამებრ. ოჯახს, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე დახმარების სერვისს შესთავაზებს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი სამსახურები. გადაუდებელი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ჩართულობა განისაზღვრება არამატერიალური დახმარების კუთხით, თითოეულ შემთხვევაზე არაუმეტეს, 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს იმ საჭიროების მოგვარებას რაც მრავალშვილიანი ოჯახის საჭიროებად გამოიკვეთა, გარდა ჯანდაცვის საკითხებისა.			
პროგრამის შედეგი	დაკმაყოფილებულია კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების საჭიროებები.			
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	10 პროექტი	პროექტი	პროექტი
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ნაკლები მომართვიანობა			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	<ol style="list-style-type: none"> 1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიძლიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	<ol style="list-style-type: none"> 5. ინფრასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები? 	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	<ol style="list-style-type: none"> 8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურება? 9. რას დასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	<p>13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას?</p> <p>14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?</p>	
<p>განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა</p>	<p>15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისაწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?</p> <p>116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვდომია?</p> <p>17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?</p>	<p>განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები: კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.</p>
<p>ძირითადი სერვისები და პროგრამები</p>	<p>18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?</p>	<p>ყურადღების გამახვილება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.</p>
<p>Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები</p>	<p>20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად?</p> <p>21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.</p>
<p>რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის</p>	<p>23. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?</p> <p>24. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?</p>	<p>მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.</p>